

ელ-მმართველობის სერვისების გამოწვევები საქართველოში: e-ID
ბარათის გამოყენება

ხატია ზივზივამე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ ლაბაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

“როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალას, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ხატია ზივზივამე

20.06.2018

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გამოავლინოს საქართველოში ელ-მმართველობის სერვისების ბარიერები e-ID ბარათის გამოყენების კუთხით. კვლევის მეთოდად შეირჩა თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის ფარგლებში განხილულია ელ-მმართველობის რაობა და e-ID ბარათის მნიშვნელობა მის განვითარებაში. ევროკავშირის წევრ ქვეყნების შემთხვევების განხილვის შედეგად, წარმოდგენილია e-ID ბარათის დანერვისა და გამოყენების წარმატების ფაქტორები. ასევე განხილულია საქართველოში ხელმისაწვდომი ელ-სერვისები და მისი e-ID ბარათით გამოყენების არსებული მდგომარეობა, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ საქართველოში e-ID ბარათის გამოყენებას ელ-მმართველობის სერვისების მისაღებად ძალიან დაბალი მაჩვენებელი აქვს.

ემპირიული კვლევის გამოყენებით გამოვლინდა საქართველოში e-ID ბარათის გამოყენების შემდეგი ძირითადი ბარიერები: ტექნიკური ბარიერი, საკანონმდებლო ხარვეზები, e-ID ბარათის გამოყენების არასაჭიროება/არასავალდებულობა, საჯარო და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის ნაკლებობა და საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ e-ID ბარათი ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს ელ-მმართველობის სერვისების განვითარებაში, შესაბამისად ზემოთ ჩამოთვლილი ბარიერების დაძლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია e-ID ბარათის გამოყენების შესაძლო პერსპექტივები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ელ-მმართველობა, ელ-სერვისები, e-ID ბარათი, საქართველო, გამოყენება.

Abstract

The aim of this Master's thesis is to identify barriers related to electronic ID card usage in e-Governance services in Georgia. The research employed qualitative research methodology. Within the framework of the research, the e-governance concept is discussed and the importance of e-ID card in e-governance development is outlined. As a result of considering cases of EU member states, the success factors of e-ID card usage is indicated. The research reviews available e-services in Georgia and the current state of e-ID usage, as a result it was revealed that e-ID card usage level to get e-governance services is very low in Georgia.

By means of an empirical research, barriers of e-ID card usage in Georgia was revealed, including technical barriers, legislative gap, e-ID card's unnecessary and optional usage, lack of public-private partnership and low level of public awareness. As a result of the research, it was revealed that the e-ID card has one of the main role in development of e-governance services, therefore it is very important to overcome abovementioned barriers. At the end of the thesis, the possible future perspectives of e-ID card usage and some recommendations are presented.

Key words: e-governance, e-services, e-ID card, Georgia, usage.